სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2017 წლის 30 მაისის ბრძანება №102/01-01** საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - **ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია**, გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2017 წლის 7 ივნისის № 6 5/2017 დადგენილების** პუნქტი 2.-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

## შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი

„1" აგვისტო, 2017 წ. 12:00

**სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 3 წევრი:** 1. პროფ. დიანა ძიძიგური (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. ნანული დორეული (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. მანანა გორდეზიანი (კომისიის მდივანი).

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია,** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯამების შესახებ.

შეფასების პირველ ეტაპთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კონკურსანტ მაგდა ალანიას **განათლება** (თსუ, კვალი-ფიკაცია ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი სპეციალობით ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია), **აკადემიური/ სამეცნიერო ხარისხი** (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გრიფით 03.00.13 - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია), **სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი)** ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".**

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან** - აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი (11 წელი), სასწავლო–მეთოდური საქმიანობა (1. მულტიდისციპლინარული სახელმძღვანელო „გარემო და ჯანმრთელობა" 2006წ; 2. ელექტრონული რესურსი კურსისთვის "გულ-სისხლძარღვთა ფიზიოლოგია"), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (11) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და

მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის,, წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტს სტაჟირებები და ტრენინგები წამყვან სამეცნიერო ცენტრებში (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სან დიეგო, აშშ; KH Leuven Leuven University College; Free University of Berlin; ნ.კ.კოლცოვის სახ. განვითარების ბიოლოგიის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნ. აკადემია, მოსკოვი, რუსეთი) აქვს გავლილი.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი".

**III კატეგორია** -(სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა). კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 53 სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის 7 იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. ბოლო 6 წლის მანძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 2 საერთაშორისო და 8 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 4 საგრანტო პროექტის მუშაობაში. მიმდინარე წლის ნოემბერში დაგეგმილია ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე (Neuroscience 2017, SfN annual meeting, Washington, USA. SfN.org) კონკურსანტის მოხსენებით გამოსვლა. მ. ალანია აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. სამეცნიერო კვლევების კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი".**

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად მონაწილეობს თსუ-ში სწავლით ახალგაზრდა თაობის დაინტერესების საქმეში, თავისუფლად ფლობს რამდენიმე უცხო ენას, არის რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების წევრი. მაგდა ალანიას საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი".

კონკურსის მეორე ეტაპთან - გასაუბრება - დაკავშირებით აღინიშნა, რომ მაგდა ალანიას კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია - არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიასთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე, ჩატარებული ფარული კენჭისყრით კომისიამ ერთხმად (სამი მოშმრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი მაგდა ალანიას კანდიდატურას.

**დაადგინეს:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია - ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმი #1) და II (ოქმი #2) ეტაპების შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

- ბიოლოგიის დეპარტამენტი

კათედრა - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია
**მაგდა ალანია** – ასოცირებული პროფესორი;

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:
პროფ. დ. ძიძიგური

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
პროფ. ნ. დორეული

კომისიის მდივანი:
ასოც.პროფ. მ. გორდეზიანი